სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№2 (390) თებერვალი, 2026 წელი

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები 160-მა სტუდენტმა დაამთავრა. მათგან 67 თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის, ხოლო 93 მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია.

თსსუ-ის სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების, აგრეთვე, საექთნო და სამეანო საქმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამები დაასრულა 142-მა სტუდენტმა; ხოლო თსსუ-ის ინგლისურენოვანი პროგრამების მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის, ფარმაციის ფაკულტეტის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის პროგრამები – 50-მა სტუდენტმა.

გვ 3

„როგორ იყენებს საქართველო სამედიცინო განათლებას უკეთესი ჯანდაცვისა და უკეთესი სამუშაო ადგილების შესაქმნელად“ – ამ სახელწოდებით მსოფლიო ბანკმა თავის საგანმანათლებლო ბლოგზე სტატია გამოაქვეყნა. პუბლიკაციაში განხილულია საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები/ნაბიჯები და მათი როლი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებაში. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.

გვ 2

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე 100 წლის გახდა.

ასწლოვანი წარმატებული ისტორიისა და მაღალინტელექტუალური სამეცნიერო პოტენციალის მქონე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესია მისი წვლილი და დამსახურება.

გვ 4–5

თსსუ მსოფლიო ბანკის ბლოგზე

„როგორ იყენებს საქართველო სამედიცინო განათლებას უკეთესი ჯანდაცვისა და უკეთესი სამუშაო ადგილების შესაქმნელად“ – ამ სახელწოდებით მსოფლიო ბანკმა თავის საგანმანათლებლო ბლოგზე სტატია გამოაქვეყნა. პუბლიკაციაში განხილულია საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები/ნაბიჯები და მათი როლი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებაში.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (თსსუ), როგორც ქვეყანაში სამედიცინო განათლების ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს და ერთ-ერთ წამყვან ინსტიტუციას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე სამედიცინო განათლების მოდელის დანერგვაში.

სტატიის მიხედვით, თსსუ ეტაპობრივად გადავიდა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების მოდელზე, გააძლიერა კლინიკური პრაქტიკა და სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს – ყველაფერი ერთად კი, მიზნად ისახავს სტუდენტებში საერთაშორისო სტანდარტების კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციის გაძლიერებას. პუბლიკაციაში, ასევე, ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობას.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს როგორც სამედიცინო განათლების ხარისხის ამაღლებას, ისე ჯანდაცვის სისტემის მდგრად განვითარებასა და კვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებას.

სტატიაში, ასევე, საუბარია იმ პროექტებზე, რომელიც თსსუ-მა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განახორციელა.

აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის საჯარო ლექცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის საჯარო ლექცია ჩატარდა.

მოხსენება შეეხებოდა თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიური სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის სტეროიდული შენაერთების მიმართულების მეცნიერ-თანამშრომლების მიერ, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის ხელმძღვანელობით შექმნილ პრეპარატ „ალექსინს“, რომელიც იუკა დიდებულის ყვავილებისგან მიღებული მცენარეთა ზრდის ეფექტური სტიმულატორია. პრეპარატზე 75 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ფუნდამენტური კვლევები, რომელთა შედეგების საფუძველზეც ხდება მისი პრაქტიკული გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მცენარეთა ზრდა-განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „ალექსინის“ მცირე კონცენტრაციის (წყალში გახსნილი) ხსნარებით (2-5 მგ%) თესლების თესვამდე დამუშავების ან ნერგებზე შესხურების შედეგად მოსავლიანობა 30-50%-მდე იზრდება და მიიღება ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხიანი პროდუქტი.

დამსწრე საზოგადოებას პრეზენტაციით მიმართა თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიური სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის სტეროიდული შენაერთების მიმართულების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მარიამ ბენიძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსსუ-ის კანცლერი **ალექსანდრე ბუაჩიძე,** თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი **მალხაზ გეთია,** ინსტიტუტის ოპერაციული დირექტორი **ვასილ ჭეიშვილი,** აკადემიური პერსონალი, მეცნიერ-თანამშრომლები და სტუდენტები.

ინოვაციური პროექტის ვორქშოპი თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახალი პროექტის ვორქშოპი ჩატარდა, რომლის ხელმძღვანელი თსსუ-ის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **რიმა ბერიაშვილია.**

პროექტი – „მიკრომორფოლოგიური პრეპარატების ციფრული ბაზის შექმნა და მისი გამოყენება პათოლოგიური ანატომიის სასწავლო პროცესში ინოვაციური მოდულების და ხელოვნური ინტელექტის კომპონენტებზე დაფუძნებული სადოქტორო პროგრამის შესაქმნელად“ – ხორციელდება მსოფლიო ბანკის პროექტის – „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q“ ფარგლებში, კონკურენტული ინოვაციების ფონდის (CIF) მხარდაჭერით, პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტია გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტი (ავსტრია).

შეხვედრაზე პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა, პროექტის მკვლევრებმა – **ალეკო ხარებაშვილმა, ნინო თევზაძემ და მანანა ჯიქურიშვილმა,** ასევე, გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა **გერნოტ ფიალამ** განიხილეს პროექტის ძირითადი მიმართულებები:

- AI-ის როლი მედიცინასა და პათოლოგიურ ანატომიაში;
- ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია პრეპარატების ციფრული სკანერის დანერგვით;
- საარქივო და მიმდინარე შემთხვევების პრეპარატების დიგიტალიზაცია და მონაცემთა ბაზის შექმნა სასწავლო პროცესის საჭიროებების გათვალისწინებით;
- ვებპლატფორმის შექმნა, სადაც განთავსდება ინტერაქტიული და ციფრული პრეპარატები თვითსწავლებისთვის (self-learning);
- სასწავლო პროცესში ინოვაციური კომპონენტების ინტეგრაცია შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე ალგორითმების შემუშავებით.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამოყენებული იქნება როგორც დიპლომამდელ საფეხურზე სწავლების პროცესში, ასევე რეზიდენტ პათოლოგანატომთა პროფესიული მომზადების გასაუმჯობესებლად და პრაქტიკოსი პათოლოგანატომებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლების მხარდასაჭერად.

შეხვედრას ესწრებოდნენ თსსუ-ის კანცლერი **ალექსანდრე ბუაჩიძე**, პროექტ „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q“-ის აღმასრულებელი დირექტორი **თამარ სანიკიძე** და თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **სოფიო ბახტაძე**.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციამ ფედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე თსსუ-ის ემერიტუს პროფესორებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციის ორგანიზებით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 6 თებერვალს პროფესიული შეხვედრა მოეწყო. ღონისძიება მიზნად ისახავდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე პროფესიონალების, ასევე, სხვადასხვა სამედიცინო დარგის დამსახურებული სპეციალისტების დაჯილდოებას და მათი ღვაწლის აღნიშვნას.

შეხვედრის პირველი ნაწილი დაეთმო კონფერენციას თემაზე: „თანამედროვე პედიატრიის აქტუალური საკითხები“, სადაც განიხილეს თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკის მიღწევები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები პედიატრიის დარგში.

ღონისძიების მეორე ნაწილი ორგანიზატორებმა მიუძღვნეს თემას – „ღვაწლმოსილი და დამსახურებული მეან-გინეკოლოგების, ნეონატოლოგებისა და პედიატრების ავტოგრაფი“. ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორებს, პროფესიული ღვაწლის და წვლილის აღიარების ნიშნად, სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული თეატრი „ჰიგია“, რამაც განსაკუთრებული ატმოსფერო შექმნა.

„Horizon Europe“-ის საპროექტო განაცხადის წერის სამდღიანი ტრენინგი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩოს პროგრამის – „Horizon Europe“-ის საპროექტო განაცხადის წერის სამდღიანი ტრენინგი ჩატარდა. ღონისძიება ორგანიზებული იყო „Horizon Europe“-ის საქართველოს ეროვნული ოფისის მიერ, ევროპული კომისიის მხარდაჭერით და ფოკუსირებული იყო კოლაბორაციულ კვლევით პროექტებზე, მოიცავდა 2026-2027 წლების სამუშაო პროგრამების, დაფინანსების პრიორიტეტებისა და შეფასების კრიტერიუმების სიღრმისეულ ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მარი სკლადოვსკა-კიურის (MSCA) პროგრამებსა და მის ფარგლებში არსებულ საგრანტო შესაძლებლობებს.

ტრენინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- საპროექტო განაცხადების შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს;
- საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმის ფორმირების სტრატეგიებს;
- სამუშაო პაკეტებისა და მოსალოდნელი შედეგების ანალიზს;
- ეთიკურ მოთხოვნებსა და დამატებითი დანართების მომზადებას;
- Funding & Tenders პორტალისა და CORDIS პლატფორმის ეფექტიან გამოყენებას.

ტრენინგის მესამე დღეს განიხილეს მარი სკლადოვსკა-კიურის პოსტდოქტორანტურის (MSCA Postdoctoral Fellowships), MSCA Doctoral Networks და ევროპული ინოვაციების საბჭოს (EIC) პროგრამები.

დასასრულ, მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თინათინ ტყემალაძეს, წახმატებული სამეცნიერო საქმიანობისთვის სიგელი გადაეცა

11 თებერვალს, მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, ქალ და გოგონა მეცნიერთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორი **თინათინ ტყემალაძე** დაჯილდოვდა.

პროფესორი თინათინ ტყემალაძე არის 70-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის სპიკერი და ორგანიზატორი. იგი აქტიურად არის ჩართული როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს პროფესორ თინათინ ტყემალაძეს დამსახურებულ აღიარებას და წარმატებებს უსურვებს მომავალ სამეცნიერო საქმიანობაში.

თსსუ საერთაშორისო კლინიკურ კვლევით პროექტებში ჩართვას გეგმავს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **თამარ დიდბარიძემ** და ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა **ელენე პაჭკორიამ** მიმდინარე წლის 2-3 თებერვალს, ნიდერლანდების ქალაქ უტრეხტში, ევროპის ინფექციურ დაავადებათა კლინიკური კვლევების ალიანსის (Ecraid) ყოველწლიურ სამეცნიერო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, როგორც ორგანიზაციის წევრებმა საქართველოდან.

ორდღიანი სამეცნიერო ფორუმი დაეთმო ევროპაში ინფექციური დაავადებების მართვისა და კლინიკური კვლევების თანამედროვე სტრატეგიებს: მწვავე რესპირატორული და საშარდე გზების ინფექციების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალ მეთოდებს, ანტიბიოტიკორეზისტენტობასთან ბრძოლის საკითხებსა და ინტენსიური თერაპიის თანამედროვე პროტოკოლებს. ასევე, განიხილეს საერთაშორისო კვლევითი პლატფორმების (Ecraid, RECOVERY-EU) როლი და მონაცემთა ეპიდემიოლოგიური ანალიზის მნიშვნელობა ეფექტიანი ჯანდაცვის პოლიტიკისა და პანდემიური მზადყოფნის უზრუნველსაყოფად.

სამუშაო შეხვედრები ჩატარდა როგორც სამუშაო ჯგუფების დახურულ ფორმატში, ასევე, ღია სესიების სახით. თსსუ-ის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კლინიკური კავშირების საბჭოს დახურულ სხდომაშიც, სადაც შეფასდა ორგანიზაციის საგრანტო პროექტების შუალედური შედეგები და განიხილეს სხვადასხვა ქვეყნის მზაობა მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართვისთვის.

შეხვედრის ფარგლებში, თსსუ-ის წარმომადგენლები დაინტერესდნენ მესამე ფაზის კლინიკური კვლევის (YV44878 Zosurabalpin, Roche) განხილვით, რომლის მიზანია ზოსურაბალპინის ეფექტურობის, უსაფრთხოებისა და ფარმაკოკინეტიკის შეფასება Acinetobacter baumannii-calcoaceticus კომპლექსით ინფიცირებულ პაციენტებში.

მათი განმარტებით, დეტალურად გაეცნენ კვლევის პროტოკოლს და დააფიქსირეს საქართველოდან თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მასში ჩართვის სურვილი და მზაობა. როგორც თსსუ-ის პროფესორებმა აღნიშნეს, ამ ეტაპზე პროცესთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები.

საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონფერენცია „Mastering Ophthalmology“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მასშტაბური საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონფერენცია – „Mastering Ophthalmology“ გაიმართა. ღონისძიება თვალის კლინიკა „ახალი მზერის“ ორგანიზებით ჩატარდა.

კონფერენციის მიზანი თანამედროვე ოფთალმოლოგიაში არსებული უახლესი სამეცნიერო მიღწევებისა და კლინიკური გამოცდილების გაზიარება იყო. ღონისძიების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინოვაციურ დიაგნოსტიკურ და ქირურგიულ მეთოდებს, მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენებას, ასევე პაციენტზე ორიენტირებული მართვის თანამედროვე სტანდარტებს.

კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ სპეციალისტები საქართველოდან, იტალიიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და შვეიცარიიდან.

ახალგაზრდა პათოლოგანატომი ვიქტორია შონია Vincent Academy of Pathology-ის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის მონაწილე მასწავლებელი და პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ახალგაზრდა პათოლოგანატომი ვიქტორია შონია გახდა Vincent Academy of Pathology-ის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული.

პროექტის ფარგლებში, რომელიც მასპინძელი ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, ვიქტორია შონია 2026 წლის პირველი მარტიდან სამთვიან სტაჟირებას გაივლის ავსტრიაში, კლინიკური და მოლეკულური პათოლოგიის ინსტიტუტში, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა ძუძუსა და გინეკოლოგიური პათოლოგიის სუბსპეციალობაში, განავითაროს აღნიშნული მიმართულებით დიაგნოსტიკური შესაძლებლობები და ჩაერთოს საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

გამოსაშვები ცერემონიები კურსდამთავრებულებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2026 წლის 10 თებერვალს ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებულებისთვის გამოსაშვები ცერემონიები გაიმართა. კურსდამთავრებულთა ამაღლებულ განწყობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალიც იზიარებდა. მათთან ერთად იყვნენ კურსდამთავრებულთა ოჯახის წევრები და მეგობრებიც. ეს დღე ყველასთვის დაუვიწყარი აღმოჩნდა.

„ეს არის დიდი სიამაყის დღე, განსაკუთრებული დღე, რომელიც სიხარულით, სიამაყით და ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით არის სავსე. დღეს თქვენ გადალახეთ მნიშვნელოვანი ეტაპი და ოფიციალურად შეუერთდით იმ პროფესიონალთა რიგებს, რომელთა მოწოდებაა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვა. თქვენ აირჩიეთ რთული, მაგრამ უკიდურესად ღირსეული გზა. თქვენ ტოვებთ აუდიტორიებს, მაგრამ იწყებთ ბევრად მნიშვნელოვან გზას. წინ გელით უწყვეტი სწავლა, რთული გადაწყეტილებები და მომენტები, როდესაც თქვენს პროფესიულ ცოდნას ადამიანის იმედი და ნდობა დაემატება. გახსოვდეთ – თითოეული პაციენტი, თითოეული ადამიანი, თქვენი პროფესიული გზის მთავარი ღირებულებაა. ატარეთ ამ უნივერსიტეტის სახელი ღირსებით, იყავით მეცნიერებაზე დაფუძნებული, ეთიკურად მტკიცე და ჰუმანური პროფესიონალები. საზოგადოებას თქვენი დიდი იმედი აქვს და ჩვენ გვჯერა, რომ ამ იმედს ღირსეულად გაამართლებთ. უნივერსიტეტის სახელით გულითადად გილოცავთ ამ მნიშვნელოვან მიღწევას. ვამაყობთ თქვენით და გვჯერა თქვენი მომავლის. გილოცავთ და გისურვებთ წარმატებას“, – აუდიტორიას მიმართა თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **რუსუდან რუხაძემ.**

ყოფილ სტუდენტებს და ახლა უკვე ახალგაზრდა კოლეგებს ეს საეტაპო წარმატება – უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცეს ფაკულტეტების დეკანებმა. თითოეული მათგანის სიტყვა გამსჭვალული იყო დიდი სიყვარულით და კურსდამთავრებულთა წარმატებული მომავლის რწმენით. უნივერსიტეტში სწავლის დასრულება და დიპლომის აღება ახალი ცხოვრების დასაწყისადაა მიჩნეული – ეს არის ახალი შესაძლებლობების და დიდი პასუხისმგებლობის პროფესიული ცხოვრების დასაწყისი; საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ – თსსუ ყველგან თავისი კურსდამთავრებულების დიდ გულშემატკივრად რჩება.

თსსუ-ის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **დავით თოფურიამ,** საერთაშორისო კურსდამთავრებულებს მიმართა: „გილოცავთ, თქვენ გამარჯვებულები ხართ, იწყებთ მეცნიერების დიდ გზაზე სვლას. ამ გზაზე ბევრი სირთულე შეგხვდებათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ წარმატებით გადალახავთ, რადგან თქვენ უკვე მიაღწიეთ დიდ მიზანს – მიიღეთ ხარისხი. ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა აღვნიშნოთ თქვენი გამარჯვება, გავიზიაროთ თქვენთან ერთად ეს დღესასწაული და სიხარული. ჩვენ – თქვენი დეკანები და პროფესორები – ბედნიერები ვიქნებით თქვენი წარმატებებით“.

თსსუ-ის სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების, აგრეთვე, საექთნო და სამეანო საქმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამები დაასრულა 142-მა სტუდენტმა; ხოლო თსსუ-ის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის, ფარმაციის ფაკულტეტის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის პროგრამები – 50-მა სტუდენტმა.

27 თებერვალს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის და მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია გაიმართა. ამ მნიშვნელოვან დღეს საზემო ღონისძიებას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად კურსდამთავრებულთა მშობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები დაესწრნენ.

კურსდამთავრებულებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა** მიულოცა, რომელმაც ექიმის პროფესიის დიდ პასუხისმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება და წარმატებები უსურვა მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართეს მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **თინათინ ტყემალაძემ,** მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **დავით თოფურიამ.** მათ რწმენა გამოთქვეს, რომ თითოეული მათგანი ღირსეულად ატარებს თსსუ-ის კურსდამთავრებულის სახელს, უნივერსიტეტი კი იამაყებს მათი მიღწევებით.

ცერემონია საზეიმო ფიცის დადებით დასრულდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები 160-მა სტუდენტმა დაამთავრა. მათგან 67 თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის, ხოლო 93 მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია.

შეხვედრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, **ზვიად გაბისონიამ,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, სამედიცინო განათლების კუთხით გადასადგმელ ნაბიჯებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო კვლევითი ინსტიტუტებისა და კვლევითი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე 2026-2027 სასწავლო წლისთვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.

ბატონმა ზვიად გაბისონიამ აღნიშნა, რომ რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებსა და სამინისტროს შორის სისტემური და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა.

მსგავსი ფორმატის შეხვედრები საქართველოში მოქმედ სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან პერმანენტულად იმართება.

https://mes.gov.ge/content.php?id=14503&lang=geo&crt=1273925030265493972 7

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე საქართველოში, ეროვნული სამეცნიერო ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფარმაციის მიმართულების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილითა და მისი კვლევების პრაქტიკული შედეგებით, მართლაც იმ იშვიათ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისზეც დგას ქვეყანაში სამეცნიერო ცხოვრება, ვისი ღვაწლიც ქმნის მყარ საძირკველს ხვალინდელი დღისთვის, მეცნიერების განვითარებისა და მომავალი თაობის განათლებისთვის.

ქალბატონი ეთერის ღვაწლი არასდროს ყოფილა შეუმჩნეველი, ის არაერთი ჯილდოსა და ნომინაციის მფლობელია; მისი პროფესიული ცხოვრება კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და ლოგიკურია, რომ დიდ ბრიტანეთში, კერძოდ – კემბრიჯში შემუშავებულ 1900-2000 წლების მოღვაწე მეცნიერთა ნუსხაშიც დაიკავა საპატიო ადგილი – საუკუნის პიროვნების ტიტული მიიღო.

2026 წლის მარტში კი აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე თავის საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს... უფრო სწორად, ამ თარიღს აღნიშნავს ყველა მისი მოწაფე, მისი თანამშრომლები, ადამიანები, ვისთან ერთადაც ათწლეულების მანძილზე იღვწოდა და არა ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო შედეგს იღებდა. თავად ქალბატონი ეთერი დიდი თავშეკავებითა და აკადემიზმით, თავმდაბლად ცდილობს აერიდოს ამ თარიღთან დაკავშირებულ ხმაურს. ეს მისი პიროვნული მახასიათებელია, თუმცა ქალბატონი ეთერი ვერასგზით დარჩება ყურადღების მიღმა – იმ ადამიანების გამოხმაურების გარეშე, ვინც ბედნიერია, რომ თქვენ გვერდით მოუხდა სწავლა თუ შრომა, იმ მადლიერების გამოხატვის გარეშე, რომელსაც თქვენი განვლილი ცხოვრებით იმსახურებთ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი ღვაწლისთვის და მოგილოცოთ 100 წლის იუბილე! ვიცი, კვლავაც აგრძელებთ სამეცნიერო მუშაობას და თქვენს სახელს კიდევ არა ერთი გამარჯვება და მიღწევა დაუკავშირდება!

გილოცავთ და ვამაყობთ თქვენით!

პროფესორი ირაკლი ნატროშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

ასწლოვანი წარმატებული ისტორიისა და მაღალინტელექტუალური სამეცნიერო პოტენციალის მქონე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესია ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის, წვლილი და დამსახურება.

სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატის მოწოდებისთვის უსაფრთხო და მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნა-შემუშავების მიზნით, სახელოვან კოლექტივთან ერთად, ქალბატონი ეთერის მიერ, ათეულწლების განმავლობაში გამოკვლეულია მცენარეული და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, შესწავლილია მათი ქიმიური ბუნება, ფარმაკოლოგიური ეფექტურობა, მიღების ტექნოლოგიები და ანალიზის მეთოდების შემუშავება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ფარმაციის ფაკულტეტი, ქართველ სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად, ნამდვილად ამაყობს აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძის სახელით – იგი ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული მეცნიერებების ბერმუხა, სიამაყე და იმედია.

თავის დროზე, ახალ სამკურნალო საშუალებათა შექმნასთან დაკავშირებული მეცნიერული ამოცანების გადაწყვეტამ განსაზღვრა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტრუქტურის კომპლექსურობა და განაპირობა მისი ფუნდამენტური გამოკვლევების მიმართულებები მეცნიერების არაერთ დარგში. სხვადასხვა ქიმიური კლასის მცენარეთა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოვლენა, შესწავლა, ქიმიური სტრუქტურების დადგენა, ანალიზის მეთოდების შემუშავება, 76 ფარმაკოლოგიურად ეფექტურ ნივთიერებათა ტექნოლოგიების დამუშავება; კანონზომიერი ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ქიმიურ სტრუქტურასა და ბიოლოგიურ აქტივობას შორის; ორგანული სამკურნალო და სხვა დანიშნულების ქიმიური მოდიფიკაცია გაუმჯობესებული თვისებების, ანდა ახალი ეფექტურობის მქონე პრეპარატების მისაღებად – ეს ჩამონათვალი ქალბატონი ეთერის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არც თუ სრული ნუსხაა და ამოუწურავი ადამიანური შესაძლებლობების თვალნათელი მაგალითი.

საკუთარი ინტელექტუალური ენერგიის და უნარების სწორი მიმართულებით წარმართავით, აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ფარმაკოქიმიური მეცნიერება – ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარმაკოქიმიური მეცნიერებების განვითარებასა და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში. სწორედ, რამდენიმე ათეულწლოვანი საქმიანობის შედეგია მის მიერ შემუშავებული ოცზე მეტი ორიგინალური სამკურნალო საშუალება და იშვიათი ბიოქიმიური რეაქტივი, 570-მდე სამეცნიერო ნაშრომი, 9 მონოგრაფია, 35 ახალი სამკურნალო პრეპარატი...

...ულამაზესი ზემო იმერეთიდან იწყება ქალბატონი ეთერის ცხოვრებისეული გზა. საჩხერის რეგიონში ცნობილი ექიმის და ღირსეული პიროვნების – პეტრე ქემერტელიძის – ოჯახში აღზრდილ გოგონას სამედიცინო მეცნიერებების დიდი სიყვარული იმთავითვე გულში აღებეჭდა... გამორჩეულად წარმატებული გახლდათ მისთვის საჩხერის პირველ საშუალო სკოლაში გატარებული სწავლის წლები, მერე კი – თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი და ფარმაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, სადაც სწავლის წლებს კანდიდატის, შემდეგ დოქტორის ხარისხის მოპოვება მოჰყვა, მალე კი – პროფესორის ტიტული. 1970-იანი წლების ბოლოს ქალბატონი ეთერ ქემერტელიძე უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და შემდგომში – წევრია.

ქართულ ფარმაკოლოგიურ სკოლას და, ზოგადად, ფარმაცევტულ და სამედიცინო მეცნიერებებს ნამდვილად აქვთ საამაყო, რამეთუ დარგის აღიარებული ლიდერი, აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე ,,წმინდა გიორგის ოქროს ორდენის“ (2013 წ.), 1900-2000 წლების „საუკუნის პიროვნების მედლის“ (კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი) და „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მედლის“ (1989 წ.) მფლობელი, ასევე, იოველ ქუთათელაძის (2010 წ.), პეტრე მელიქიშვილის სახელობის (1995 წ.) და 2004 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი; 1983 წელს მინიჭებული აქვს საჩხერის საპატიო მოქალაქის წოდება, არის ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო კოლეგიის „ოქროს ფირფიტის“ მფლობელი...

„დიდად გამახარა ჩვენი მოღვაწეობით თქვენმა დაინტერესებამ, – განაცხადა ქალბატონმა ეთერმა ჩვენთან საუბრისას. დიახ, ჩვენ შემოქმედების ფართო ასპარეზი გვაქვს – საქართველოს პატარა ტერიტორიაზე 4100 სახეობის მცენარე იზრდება, მათ შორის, – მრავალი უნიკალური შემადგენლობის და ბიოლოგიური აქტივობისაა. მათი გამოვლენა, შესწავლა, მაღალეფექტური, უვნებელი, ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომი პრეპარატის შექმნა დიდად საამაყო და პატრიოტული საქმეა; სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ჩვენმა დაუღალავმა საქმიანობამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. დიდად გამახარებს ამ საქმეში ახალგაზრდების ჩართვა და, როგორც ჩანს, მათი დაინტერესებისთვის, ამას სათანადო პოპულარიზაცია სჭირდება!“

დარეჯან კომლაძე

საქართველოში ფიტოქიმიური კვლევების განვითარება შეუძლებელია აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის სახელის გარეშე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალ ათეულ წელს მოიცავს და ფუნდამენტურ საფუძველს ქმნის ბუნებრივი ნაერთების კვლევის და გამოვლენის მიმართულებით.

აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შექმნა მცენარეული წარმოშობის ბუნებრივ ნაერთთა კვლევითი სკოლა, რომელმაც, სხვა გამოწვევებთან ერთად, გაუძლო საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში არსებულ სირთულეებს და მოიპოვა დიდი აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში. თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ათობით ახალი ინოვაციური მიდგომა მცენარეული ნაერთების გამოყოფისა და სტრუქტურული ანალიზისთვის. მისი მოღვაწეობის პირველ-ში ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შემუშავდა მრავალი სამკურნალო საშუალება და ბიოლოგიურად აქტიური დანამატი.

დღეს, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის მიერ დაწყებული საქმე გრძელდება და ახალ თაობებს ემსახურება, ხოლო მისი შრომა რჩება სამეცნიერო ეთიკისა და პროფესიონალიზმის ეტალონად.

ქალბატონო ეთერ, გილოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს – 100 წელს, რომელიც განასახიერებს არა მხოლოდ დიდ დროს, არამედ დიდ გზას, დიდ შრომასა და დაუვიწყარ წვლილს ქართული და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

გისურვებთ მშვიდობას, სითბოს, სულიერ სიმტკიცესა და იმ უდიდეს პატივისცემას, რომელსაც თქვენი ცხოვრება და ღვაწლი იმსახურებს. დაე, თქვენი იუბილე იყოს ჯანმრთელობით, სიყვარულით და მადლიერებით სავსე.

მალხაზ გეთია,
თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის
ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის
დირექტორი

ქალბატონო ეთერ!

თქვენი ასწლოვანი იუბილე განსაკუთრებული მოვლენაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, ფარმაცევტული და სამედიცინო საზოგადოებისათვის. თქვენი დაუღალავი შრომა, კვლევითი ხედვა და მეცნიერებისადმი ერთგულება არაერთი თაობის პროფესიულ ჩამოყალიბებასა და ქართული ფარმაცევტული მეცნიერების განვითარებას დაედო საფუძვლად.

ასი წელი – ღირსეული და წარუშლელი კვალი.

ასი წელი – მთელი ეპოქა ერთ სიცოცხლეში.

ფარმაციის ფაკულტეტის სახელით გილოცავთ იუბილეს; მადლიერებით გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობასა და კიდევ მრავალ წელს პროფესიული აქტივობითა და საყვარელი ადამიანების გვერდით ყოფნით ბედნიერებას.

პროფესორი თამარ ჩიკვილაძე,
თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი,
ფარმაცევტული, ტოქსიკოლოგიური და სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
სამაგისტრო პროგრამის – „ფარმაცევტული ანალიზი“ – ხელმძღვანელი

ქალბატონო ეთერ, გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, თქვენი საყვარელი საქმისთვის, რომელსაც, აგერ უკვე მრავალი ათეული წელია, ერთგულად, თავდაუზოგავად ემსახურებით და დარგისადმი ერთგულების მაგალითს გვაძლევთ!

განუზომელია თქვენი ღვაწლი საქართველოში ფარმაციის როგორც მეცნიერულ, ისე პრაქტიკულ განვითარებაში. თქვენი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ფიტოქიმიის განყოფილება, აღიზარდა და მომზადდა მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და სპეციალისტთა პლეადა, რითაც ფართოდ გაიშალა ღრმა მეცნიერული კვლევა ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული მეორეული მეტაბოლიტების ცალკეული კლასების მიმართულებით, შედეგად კი მოჰყვა არაერთი ორიგინალური, მაღალეფექტური სამკურნალო საშუალების შექმნა ადგილობრივი მცენარეული და მინერალური ნედლეულიდან. თქვენი დამსახურებაა, რომ სადღეისოდ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი არსებობს თვითკმარი და განვითარების უდიდესი პოტენციალის მქონე სამეცნიერო ორგანიზაციის სახით.

კვლავ გილოცავთ, უფალმა მოგმადლოთ სულის სიმტკიცე, ენერგიულობა, კვლავაც რომ დიდხანს განაგრძოთ თქვენს სათაყვანო მეცნიერებაში აქტიური მოღვაწეობა და ჩვენ, თქვენს შემდგომთ, მაგალითად გვქონდეს თავდადება და უანგარო მსახურება საქმისადმი!

ნანა ქავთარაძე,
თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის
ფიტოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის
ფენოლური შენაერთების მიმართულების ხელმძღვანელი

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება განსაკუთრებული პატივით და მადლიერებით აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძის, 100 წლის იუბილეს. ეს მნიშვნელოვანი თარიღი გვაძლევს შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ შევაფასოთ მისი მრავალწლიანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ფასდაუდებელი კვალი რომ დატოვა ქართული ფარმაცევტული მეცნიერების განვითარებაში.

ეთერ ქემერტელიძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის გაძლიერებასთან, ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი ნაერთების სიღრმისეულ კვლევასთან, სამკურნალო საშუალებებისა და წამლის მიწოდების სისტემების შემუშავებასთან, ასევე, – მიღებული შედეგების პრაქტიკულ დანერგვასთან. მისი ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა ძლიერი სამეცნიერო სკოლა, აღიზარდა არაერთი ახალგაზრდა მკვლევარი, დაინერგა თანამედროვე კვლევითი მიდგომები.

აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის სამეცნიერო მიღწევები სცდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. მისი პიროვნული ღირსებეები: თავმდაბლობა, კეთილშობილება და ადამიანური სითბო, სამეცნიერო მიღწევებთან ერთად, მომავალი თაობებისთვის ნამდვილად მისაბაძი მაგალითია.

ეთერ ქემერტელიძის 100 წლის იუბილე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მეცნიერების წინსვლა ეფუძნება არა მხოლოდ ცოდნასა და შრომას, არამედ პასუხისმგებლობას, ადამიანურ ღირებულებებს და მომავალ თაობებზე ზრუნვას.

ლია წიკლაური,
ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტული პროდუქტის, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების და კოსმეტოლოგიური საშუალებების ფორმათა ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დარგის – ფარმაკოქიმიური მეცნიერების ამაგდარი წარმომადგენელი და ჭეშმარიტად ლიდერია. გამოჩენილმა მკვლევარმა, მეცნიერების შესანიშნავმა ორგანიზატორმა და სამაგალითო პიროვნებამ რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო – რვა ათეული წლის მანძილზე იგი მუხლჩაუხრელად შრომობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, სადაც გაიარა ყველა საფეხური ასპირანტობიდან დირექტორამდე.

ეთერ ქემერტელიძე იმთავითვე აქტიურად ჩაება ინსტიტუტის საქმიანობაში, რომლის ძირითადი მიმართულება საქართველოს მრავალფეროვანი ფლორის, მდიდარი მინერალური რესურსების შესწავლა და სამკურნალო პრეპარატების შექმნა იყო.

ღირსეულად განაგრძო რა წინამორბედების ტრადიციები, თავადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარმაკოქიმიის მეცნიერების განვითარებასა და ახალი თანამედროვე მიმართულებების ჩამოყალიბებაში. ნაყოფიერი სამეცნიერო ორგანიზაციული მუშაობის შედეგად, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი საერთაშორისო დონის დაწესებულებად იქცა და მეცნიერულ-კვლევითი შედეგებით საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა.

1960 წელს, ეთერ ქემერტელიძის ინიციატივით, ინსტიტუტში ფიტოქიმიის განყოფილება დაარსდა, სადაც გაიშალა კვლევები მცენარეთა სხვადასხვა ქიმიური კლასის მეტაბოლიტებზე: საგულე გლიკოზიდების, სტეროიდული და ტრიტერპენული საპონინების, ციკლოარტანების, ლიპიდების, ფენოლური ნაერთების, ანტრაცენნაწარმების, ნახშირწყლების და სხვა. ცალკეული მიმართულების მიხედვით მეცნიერული კადრი მომზადდა და ფიტოქიმიკოსთა სოლიდური სკოლა ჩამოყალიბდა.

ეთერ ქემერტელიძე თანმიმდევრულად ავითარებდა და ამკვიდრებდა ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული კლასის ნივთიერებების კვლევას და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევდა; იგი საქართველოში ამ დარგის ფუძემდებლად და მსოფლიოში ცნობილ მეცნიერად გვევლინება. მან, მოწაფეებთან ერთად, გამოავლინა საინტერესო ქიმიური შედგენილობის და და ბიოლოგიური ეფექტურობის მქონე მრავალი მცენარე. ორიგინალური სამკურნალო პრეპარატების შექმნა საკმაოდ რთული პროცესია და მრავალმხრივი მომიჯნავე დარგის კომპლექსურ კვლევებს მოითხოვს. ე. ქემერტელიძის ხელმძღვანელობით, ინსტიტუტში ყველა საჭირო სამეცნიერო ერთეული დაარსდა, აღიჭურვა საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზა, ჩამოყალიბდა სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურები (სხვადასხვა რეგიონში); შეიქმნა კომპლექსური სისტემა, აქტიური ნივთიერებების ძიებიდან დაწყებული, მათი გამოშვებით დამთავრებული. მრავალმხრივი ფუნდამენტური კვლევების შედეგად, ე. ქემერტელიძემ, თავის მოწაფეებთან ერთად, სხვადასხვა დანიშნულების 27-მდე ორიგინალური პრეპარატი შეიმუშავა, რომლებიც სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში, დსთ-ის ქვეყნებში. გადაწყვეტილია სამედიცინო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი საკითხი – საქართველოში ინტროდუცირებული მცენარე Yucca gloriosa-დან გამოყოფილი სტეროიდული საპოგენინი – „ტიგოგენინი“ მიჩნეულია სტეროიდული ჰორმონული პრეპარატების საწყის ნედლეულად. უხვად მოყვავილე Yucca gloriosa-ს ყოველწლიურად განახლებადი ორგანოებიდან – ყვავილებიდან სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების ეფექტური პრეპარატი „ალექსინია“ მოწოდებული.

ეთერ ქემერტელიძე, თავისი საქმიანობით, არა მარტო მეცნიერი, არამედ აქტიური საზოგადო მოღვაწეა.

ეთერ ქემერტელიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარგობრივი კომისიის – „ფარმაკოქიმიის“ – თავმჯდომარეა. 600-ზე მეტი სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ასევე, გამოცემული აქვს 14 მონოგრაფია; მიღებული აქვს 98 საავტორო მოწმობა და პატენტი, მათ შორის – ინგლისში, შვეიცარიასა და გერმანიაში.

შესანიშნავ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, დიდებულ პიროვნებას – აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძეს კვლავაც მრავლჟამიერ შემოქმედებით სიცოცხლეს ვუსურვებთ.

მარიამ ბენიძე,
ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის დეპარტამენტის სტეროიდული შენაერთების მიმართულების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

სტუდენტური გვერდი

შესაძლებლობა გამოცდილების მისაღებად

6-8 თებერვალს საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციისა და თბილისის უშუს ფედერაციის ორგანიზებით, თბილისის მე-16 ღია პირველობა გაიმართა. უშუ, იგივე კუნგ-ფუ, ჩინური საბრძოლო ხელოვნების ნაწილია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით დიდი პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნულ ტურნირზე თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის HR-ის სამსახურის ორგანიზებით, ჩვენს სტუდენტებს ჰქონდათ განსაკუთრებული შესაძლებლობა, მიეღოთ უნიკალური გამოცდილება და ეზრუნათ პროფესიონალი ათლეტების ჯანმრთელობაზე.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, 14 თებერვალს, საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, თბილისმა ევრაზიის პროფესიონალურ სანდას ლიგას უმასპინძლა. თსსუ-ის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, ყოფილიყვნენ სამედიცინო გუნდის წარმომადგენლები აღნიშნულ ტურნირზე, შეხვედროდნენ გამორჩეულ სპორტსმენებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და მიეღოთ პროფესიული გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა ზემოთ ხსენებულ ორივე აქტივობას და ამიტომაც, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, კვლავ იგეგმება მსგავს პროექტებში ჩვენი სტუდენტების ჩართულობა.

გიზიარებთ რამდენიმე მათგანის შთაბეჭდილებას:

ჩემთვის მოხალისეობა ბევრს ნიშნავს. გამოცდილება, რომელიც საკმაოდ დამიგროვდა, დამეხმარა, გამემყარებინა პროფესიული ხედვა და პიროვნული ღირებულებები.

ამჯერად, ვიყავი სამედიცინო გუნდის წევრი „თბილისის უშუს XVI ღია პირველობასა“ და „ევრაზიის პროფესიონალურ სანდას ლიგაზე“, სადაც რეალურად დავინახე და გავიაზრე, რას ნიშნავს პასუხისმგებლობა, სწრაფი რეაგირება და გუნდური მუშაობა.

ამ გამოცდილებამ მაჩვენა, რომ თეორიული ცოდნა მხოლოდ საფუძველია, ყველაზე ღირებული კი მისი პრაქტიკაში გამოყენებაა. ღონისძიებების მიმდინარეობისას გვიწევდა სხვადასხვა სიტუაციაში სწრაფი და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება, პირველადი დახმარების გაწევა და სპორტსმენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მოხალისეობამ მასწავლა ეფექტური კომუნიკაცია, როგორც კოლეგათა გუნდთან, ისე, ათლეტებთან. სამედიცინო სფეროში კომუნიკაცია ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კლინიკური ცოდნა, რადგან სწორად გადმოცემულ ინფორმაციას შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს შედეგზე. განსაკუთრებით ღირებული ის იყო, რომ ვგრძნობდი ჩემს როლს საერთო მიზნის მიღწევაში.

ერთი შემთხვევა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამრჩა მეხსიერებაში: ტურნირის მიმდინარეობისას, ერთ-ერთი სპორტსმენი ტრავმის შედეგად დაეცა. პირველადი შეფასების შემდეგ მივხვდით, რომ სინათლეზე გუგების რეაქცია მკვეთრად შენელებული იყო, შესაბამისად, მისთვის შეჯიბრის გაგრძელება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. თუმცა, თავად სპორტსმენი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ თავს უკეთ გრძნობდა და ასპარეზობის გაგრძელება შეეძლო, თავის არეში მიღებული ტრავმის მიუხედავად. იმ მომენტში განსაკუთრებით აშკარა გახდა, რამდენად რთულია გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როდესაც პაციენტის სურვილი ეწინააღმდეგება სამედიცინო რეკომენდაციას. სწორედ ასეთ სიტუაციაში ვიგრძენი პროფესიული პასუხისმგებლობის სრული სიმძიმე. საჭირო იყო არა მხოლოდ სწორი კლინიკური განსჯა, არამედ სიმტკიცე სპორტსმენის ჯანმრთელობის დასაცავად, მიუხედავად მისი ემოციური მდგომარეობის და ბრძოლის გაგრძელების სურვილისა. ამავდროულად, აუცილებელი იყო კომუნიკაცია ისე, რომ მას გაეაზრებინა: ჩვენი გადაწყვეტილება შეზღუდვა კი არა, მისი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა იყო.

მოხალისეობა მეხმარება ადამიანების უკეთ შეცნობაში, პროფესიული ეთიკის შინაგან პრინციპად ქცევასა და ისეთ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღებაში, რომლებიც პაციენტის საუკეთესო ინტერესს ემსახურება. ასეთ გარემოში ადამიანი არა მხოლოდ ცოდნას იძენს, არამედ შინაგან სიმტკიცესაც გამოიმუშავებს. მჯერა, რომ მოხალისეობრივი გამოცდილება აუცილებელია ნებისმიერი მომავალი მედიკოსისთვის. ის აძლიერებს პრაქტიკულ უნარებს, ზრდის თავდაჯერებას და ამზადებს რეალური გამოწვევებისთვის. ჩემთვის ეს გამოცდილება გახდა კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ სწორ გზაზე ვდგავარ და სამედიცინო სფეროში განვითარება არა მხოლოდ პროფესიული არჩევანია, არამედ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

გიორგი ვაზაგაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
მეოთხე სემესტრის სტუდენტი

მონაწილეობა მივიღე პროფესიონალური სანდას ლიგის ჩემპიონატზე, სადაც სამედიცინო გუნდში ვიყავი მოხალისედ. ძალიან კარგი და მრავალფეროვანი გამოცდილება მივიღე, როგორც სპორტული მედიცინის მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, ასევე, პიროვნული და პროფესიული განვითარების მხრივ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უშუ და პროფესიონალური სანდა უძველესი და უნიკალური საბრძოლო ხელოვნების სტილი იყო და, ამავდროულად, – სანახაობრივიც. სამომავლოდ დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას მსგავს პროექტში. დიდი მადლობა თსსუ-ის თვითმართველობის HR-ის სამსახურს ამ შესაძლებლობისთვის – პრაქტიკულად შევძელით სპორტსმენისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და კიდევ უფრო მეტად დავვინტერესდით სპორტული მედიცინის დარგით.

დავით ჯაოშვილი,
ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი

თებერვლის თვე მეტად საინტერესო იყო სტუდენტებისთვის. ერთ-ერთი შეჯიბრი, სადაც მოხალისედ გახლდით, ევრაზიის მასშტაბს მოიცავდა და მებრძოლები სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ წარმოდგენილნი, რამაც უფრო მეტი ინტერესი შესძინა ღონისძიებას. შეჯიბრის მსვლელობის დროს შეხება გვქონდა მრავალ სპორტულ ტრავმასთან, რომელთა მკურნალობა ჩვენთვის დიდი გამოწვევა იყო და, ამავდროულად, – მნიშვნელოვანი გამოცდილებაც.

სტუდენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს, რათა მეტად განივითაროს და განიმტკიცოს კლინიკური უნარ-ჩვევები. მსგავს შესაძლებლობებს კი ჩვენი უნივერსიტეტი ხშირად გვაძლევს.

მადლობას ვუხდი პროექტის ორგანიზატორებს და ვისურვებდი, ხშირად ჩატარდეს მსგავსი ღონისძიება, რათა ბევრმა სტუდენტმა მიიღოს საინტერესო გამოცდილება.

არჩილ გორელიშვილი,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მერვე სემესტრის სტუდენტი

მიმდინარე წლის 6-8 თებერვალს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის HR-ის სამსახურის უშუს ეროვნული ფედერაციისა და თბილისის უშუს ფედერაციის თანამშრომლობით, თსსუ-ის სტუდენტებს თბილისის მე-16 პირველობაზე სპორტსმენთა სამედიცინო გუნდში მოხალისეობრივად მუშაობის უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ. სტუდენტები გაეცნენ უშუს სახეობებს, სპორტის ამ სახეობისთვის დამახასიათებელ ტრავმებს, შეძლეს პრაქტიკულად ჩართულიყვნენ ამ პროცესში, რათა, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწიათ სპორტსმენებისთვის. პროექტის დასრულების შემდეგ, სტუდენტების მხრიდან აქტიური ჩართულობიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 14 თებერვალს, საქართველოს უშუს ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობით, ევრაზიის პროფესიონალურ სანდას ლიგაზე, სტუდენტებს კვლავ მიეცათ შესაძლებლობა, სპორტულ მედიცინას უფრო ახლოს გაცნობოდნენ და, თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, მეტი პრაქტიკული გამოცდილება მიეღოთ.

თსსუ-ის HR-ის სამსახურის სახელით, მადლობას გვინდა გადავუხადოთ საქართველოს უშუს ეროვნულ და თბილისის უშუს ფედერაციებს და ყველა დაინტერესებულ სტუდენტს აქტიური ჩართულობისთვის.

მანანა საური,
ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მერვე სემესტრის სტუდენტი,
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის HR-ის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჭიღლაძე – „სამედიცინო გაზეთის“ სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი

ძესაძიმკვლენი

მარიამ უგრელიძე

ცნობილი ქართველი პედიატრი **მარიამ უგრელიძე** 1885 წელს სოფელ დიღომში დაიბადა.

მამა – ქრისტეფორე უგრელიძე - თავისი დროის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელი გახლდათ. იგი, როგორც მაღალნიჭიერი და პროგრესული იდეების მქონე პედაგოგი, განსაკუთრებული ავტორიტეტით და და სიყვარულით სარგებლობდა. ცნობილია, რომ მოღვაწეობის პერიოდში მას დიდი წინააღმდეგობა გაუწევია სამეგრელო-სვანეთის სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენის სრული განდევნის პროცესისთვის..

ოჯახში სამი ბავშვი იზრდებოდა - მარიამი, მელანია და ნიკო. რომელთა აღზრდა ფაქტიურად, დედის – ნინო გიორგიევას მოვალეობას შეადგენდა. გიორგიევები ქართველები იყვნენ – არავიაშვილები, რომელთაგან ერთი მათგანისთვის – სახელმწიფო სამსახურში მყოფი გიორგისთვის – რუს ხელისუფალთ გვარი არავიაშვილი გიორგიევად შეუცვლიათ.

მამის გარდაცვალების შემდეგ, ბავშვების აღზრდაზე მატერიალური მზრუნველობა ბიძამ - მიხეილ გიორგიევმა იკისრა, რომლის სახელი მუდამ პატივისცემით იხსენიებოდა მარიამის ოჯახში.

მანიკო (როგორც ბავშვობაში მარიამს ეძახდნენ) სუსტი აღნაგობის, ცელქი და ცნობისმოყვარე ბავშვი ყოფილა. სწავლობდა თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, რომელიც 1903 წელს წარჩინებით დაამთავრა.

მარიამმა მიზნად ექიმად გახდომა დაისახა, თუმცა, სწავლის გაგრძელებას შესატყვისი ეკონომიური პირობები ესაჭიროებოდა, ამიტომ თექვსმეტიოდე წლის გოგონამ, სახსრების მოპოვების მიზნით, გადაწყვიტა სწავლა ბაქოში გაეგრძელებინა. 1904 წელს კი, ფიზიოლოგიური ანატომიის პროფესორ ლესჰაფტის, მიერ დაარსებული ფიზიკური განათლების აღმზრდელ და ხელმძღვანელ ქალთა უმაღლეს სამეცნიერო კურსებზე მოეწყო პეტერბურგში. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრესული მოაზროვნის ლექციები წარუშლელად აღიბეჭდა მარიამ უგრელიძის ცნობიერებაში და ისიც, სიცოცხლის ბოლომდე, მისი იდეების გამტარებელი გახდა პედიატრიაში. მალევე მარიამი პეტერბურგის ქალთა უმაღლესი სამედიცინო კურსების სტუდენტი გახდა და დიდი მონდომებით შეუდგა მედიცინის საფუძვლების დაუფლებას.

1905 წელს რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში იფეთქა მძლავრმა რევოლუციურმა მოძრაობამ. მარიამ უგრელიძე სტუდენტთა ნებაყოფლობით ,,დრუჟინებში“ გაერთიანდა და პირველ დახმარებას უწევდა დაჭრილ მუშებს; ამ პერიოდში იგი, ასევე, დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციას და სამხედრო ნაწილებში რევოლუციური ხასიათის პროკლამაციებს ავრცელებდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეფის აგენტებს და მას, 1906 წელს, ლექციის დაწყების წინ, აუდიტორიაში აპატიმრებენ, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, თბილისში აგზავნიან ,,ეტაპით“; თბილისში გატარებული ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, მარიამს აუკრძალეს სწავლა რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მიეცა მას უცხოეთში გამგზავრების უფლება; დასავლეთ ევროპაში კი მარიამ უგრელიძემ შეძლო სამედიცინო განათლების გაგრძელება – 1907-1909 წლებში სწავლობდა ქ. მონპელიეს (საფრანგეთი), ხოლო 1909 წლიდან – ჟენევის (შვეიცარია) უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებზე.

ჟენევაში მარიამი მოიხიბლა ევროპული კულტურითა და ხელოვნებით, თუმცა მის ძირითად საქმედ მაინც სამედიცინო მეცნიერებების დაუფლება რჩებოდა. სწავლის პერიოდში იგი გაიტაცა ცნობილი ევროპელი ფსიქიატრის - მანჰეიმის ბრწყინვალე ლექციებმა და გადაწყვიტა კიდეც ფსიქიატრი გამხდარიყო. ამასთან, ევროპაში სწავლისას მარიამი ბრწყინვალედ დაეუფლა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

1914 წელს მარიამ უგრელიძე ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებს და უკან ბრუნდება, თუმცა, მეფისდროინდელი კანონებით, უცხოეთში განათლებამიღებულ ხალხს რუსეთში საექიმო პრაქტიკის უფლება არ ეძლეოდა, იმპერიის რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გარეშე. მანაც ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტი ირჩია, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ: ალ. ნათიშვილი, ნ. კახიანი, ვ. ჟღენტი, ასევე, სწავლობდნენ: პ. ქავთარაძე, პ. სარაჯიშვილი, ბ. ღოღობერიძე და სხვები.

აღსანიშნავია, რომ იმხანად, ნოვოროსიის უნივერსიტეტში, აგრეთვე, მოღვაწეობდა – ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგე, სახელმოხვეჭილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი სიმონ გოგიტიძე, რომელსაც მარიამ უგრელიძე გამოცდების ჩაბარების პერიოდში გაეცნო. თანახმად საუნივერსიტეტო წესდებისა, მ. უგრელიძეს, ექიმის დიპლომის მოსაპოვებლად, 25 ძირითად სამედიცინო თეორიული და კლინიკური დისციპლინა უნდა ჩაებარებინა, რამაც ერთწლიანი პერიოდი მოიცვა და მან 1915 წელს მიიღო რუსეთის ექიმის დიპლომი და, პროფესორ სიმონ გოგიტიძის დაჟინებული რჩევით, გადაწყვიტა საკუთარი სიცოცხლე და მიღებული ევროპული ცოდნა-განათლება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისთვის მიეძღვნა.

მარიამ უგრელიძემ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პედიატრიის კლინიკაში სამი წელი (1915-1918 წ.წ.) დაჰყო, სადაც, გარდა სამედიცინო-პრაქტიკული მუშაობისა, ლექციებსაც კითხულობდა.

მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებლის – ს. გოგიტიძის უშუალო ხელმძღვანელობით ძლიერი კლინიკური მომზადება განვლილ-დახელოვნებული პედიატრი მარიამ უგრელიძე 1918 წელს საქართველოში დაბრუნდა და 1919 წელს ორდინატორის თანამდებობაზე დაინიშნა თბილისის ქალაქის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში, სადაც 1919-1921 წლებში, იგი, ასევე, კითხულობს საინტერესო მოხსენებებს მალარიის შესახებ ბავშვთა ასაკში; 1921 წელს კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან – ქალაქის ამავე საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ბაზაზე, ჩამოყალიბდა პედიატრიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელად პროფესორი სიმონ გოგიტიძე მოიწვიეს.

მარიამ უგრელიძე მეგობრებთან ერთად ლოზანაში

პროფესორმა სიმონ გოგიტიძემ, საქართველოში მეცნიერული პედიატრიის ფუძემდებელმა, მოახერხა შესანიშნავად აეწყო ზემოთ აღნიშნული კლინიკა, აღჭურვა რა იგი შესაბამისი ლაბორატორიებით, აუდიტორიებით და, ასევე, – სარძეო სამზარეულოთი; მანვე დასახა სამეცნიერო მუშაობის გზები და შეარჩია კადრი, რომელმაც სამომავლოდ ქართული პედიატრია სათანადო სიმაღლეზე აიყვანა.

მარიამ უგრელიძე კათედრის უფროს ასისტენტად დაინიშნა, რომლის მხრებმა წლების განმავლობაში კათედრის ძირითადი საქმიანობა იტვირთა – შემოვლები, მორიგეობები, მეცადინეობანი სტუდენტებთან და სამეცნიერო მუშაობა.

პროფესორ ს. გოგიტიძის გარდაცვალების შემდეგ, კათედრის გამგედ დროებით პროფესორი შალვა მიქელაძე დანიშნეს, პედიატრიის ლექტორად კი მარიამ უგრელიძე აირჩიეს, რომელიც, ფაქტიურად, ხელმძღვანელობდა კიდეც კათედრის როგორც სამკურნალო, ასევე, პედაგოგიურ საქმიანობას. მალე მან მუშაობა დაიწყო სადოქტორო სადისერტაციო თემაზე; იგი პირველია საქართველოში, რომელმაც აღწერა და ფართოდ გააშუქა ლეიკოზები, ნეფროზული სინდრომი და სტილ შოფარის დაავადება ბავშვთა ასაკში, ასევე, ფარულად მიმდინარე მალარიის დიაგნოსტიკა. 1930 წელს მარიამ უგრელიძეს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მიენიჭა, აირჩიეს სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგედ. აღსანიშნავია, რომ იგი პირველი ქალი პედიატრია, რომელმაც მაშინდელ სსრ კავშირში პროფესორის თანამდებობა მიიღო. მას სამასამდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ერთობლივად, როგორც ქართულ, ასევე, რუსულ და ფრანგულ ენებზე

მარიამ უგრელიძე ოცდაათი წელი ეწეოდა ინტენსიურ საექიმო, პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. მისი ხელმძღვანელობით, აღიზარდა მეცნიერ-პედიატრთა მრავალრიცხოვანი კადრი, რომელიც ათეულწლების განმავლობაში დამოუკიდებელ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საექიმო მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს უმაღლეს და სამედიცინო სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. მისი უშუალო მოწაფეები იყვნენ პროფესორი ი. ფაღავა, დოცენტები: ვ. მჭედლოვი, თ. ტატიშვილი, ე. ასპისოვა, ნ. ხერხეულიძე და სხვები. მისი ხელმძღვანელობით არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია მომზადებულა. შემოვლების დროს იგი ექიმებისგან მოითხოვდა წმინდა კლინიკურ მიდგომას და აზროვნებას. მთავარი ყურადღება დეტალურ ანამნეზს, ფიზიკალური მონაცემების ზუსტ აღნიშვნას და პათოგენეზურ თერაპიას ეთმობოდა. დიდ ყურადღებას აქცევდა პერსპექტიულ ექიმებს, მაგალითად, ძალზე აფასებდა და ეიმედებოდა ირაკლი ფაღავა, რომელიც შემდგომ მისი გზის ღირსეული გამგრძელებელი გახდა.

მიუხედავად ღრმა ცოდნისა, მარიამ უგრელიძე საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდა. მისი პიროვნული თვისებები, მაღალი ნიჭიერება და მეცნიერული პატიოსნება შეუმჩნეველი არ დარჩენილა მაშინდელი საბჭოთა და ევროპული სამეცნიერო ელიტისთვის.

მარიამ უგრელიძე იყო საქართველოში ბავშვთა ჯანდაცვის საქმის განვითარების დიდი ენთუზუასტი, ასევე, ორგანიზატორი დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა, რომელიც 1935 წელს დაარსდა თბილისში, სადაც ჩვილ ბავშვთა სექტორს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მის მიერ ჩატარებულია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საქართველოს პედიატრთა, შემდგომ კი – თბილისის და რეგიონების პედიატრთა საზოგადოებები.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესო იქნება ქალბატონი მარიამის შესახებ რამდენიმე საინტერესო ეპიზოდის გაცნობა მისი საახლობლო წრიდან, ამიტომაც მის შვილიშვილს – ხელოვნებათმცოდნე მაია ჩაჩავას შინ ვეწვიეთ და ვთხოვეთ, გაეხსენებინა ეს სახელოვანი ქალბატონი.

როგორც ქალბატონმა **მაია ჩაჩავამ** ჩვენთან საუბარში განაცხადა, მარიამ უგრელიძემ, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, მიზნად დაისახა, შეესწავლა საქართველოში ბავშვთა აღზრდისა და კვების საკითხები, ასევე, ბავშვთა ასაკის ძირითადი დაავადებების გავრცელება, რისთვისაც იგი, საქართველოს სხვადასხვა მხარეში, სპეციალურ ექსპედიციებს აწყობდა პედიატრების, ლაბორანტების, ბიოქიმიკოსების შემადგენლობით. მან და მისმა კოლეგებმა, თორმეტი წლის განმავლობაში, ფეხით მოიარეს საქართველოს მთიანეთი (მთა-თუშეთი, ხევი, სვანეთი, მესხეთ-ჯავახეთი) და ბარი (ქართლი, კახეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო); ექსპედიციების დროს ქალბატონი მარიამი პირადად სინჯავდა დღეში რამდენიმე ათეულ ბავშვს, სწავლობდა ქალთა და ბავშვთა ადგილობრივ საყოფაცხოვრებო და შრომის პირობებს, ეცნობოდა მათ ტრადიციებს და თვით ფოლკლორსაც კი. საინტერესოა, რომ ამ ექსპედიციების დროს გამოიკვლიეს ათი ათასობით ბავშვი, ხოლო მიღებულ დასკვნებს პერიოდულად მოახსენებდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და ჯანდაცვის სათანადო ორგანოებს; ამ ფაქტების აღმნუსხველი ფოტოები წარმოდგენილია საოჯახო ალბომში, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ არ უშინდებოდნენ ექსპედიციის წევრები დაბრკოლებებს, მკაცრ ბუნებრივ პირობებს, ლაშქრავდნენ არცთუ იოლად მისასვლელ გზებს, მდინარეებს; ყველაფერ ამას აკეთებდნენ იმ მოსაზრებით, რომ მათი ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო არცერთი ადგილობრივი მოსახლე; ამასთან, ფოტოები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მათზე აღბეჭდილია იმ დროისთვის ამა თუ იმ რეგიონისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრების დეტალები, იქ მაცხოვრებელთა გარეგნული იერ-სახე, ჩაცმულობა, აღკაზმულობა... და ნამდვილად საამაყოა, რომ ამ მხრივ, ქალბატონი მარიამ უგრელიძე საქართველოში ეთნოგეოგრაფიის მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებელად მიიჩნევა.

მარიამ უგრელიძე. პეტერბურგი

კიდევ რამდენიმე საინტერესო ეპიზოდიც გაიხსენა ქალბატონმა მაიამ:

იმ დროს ლეო ქიაჩელის ქუჩაზე ცხოვრობდა საქართველოს უშიშროების შეფი ლავრენტი ბერია. სხვათა შორის, დღესაც დგას სახლი, სადაც იმდროინდელი უშიშროების თანამშრომლები ცხოვრობდნენ. ერთხელაც, ბერიას შვილთან, რომელიც იმ დროს მძიმედ გახდა ავად, მიიწვიეს ექიმების ჯგუფი, რომელმაც კონსილიუმი გამართა; მას ესწრებოდნენ თბილისში ყველაზე ცნობილი პროფესორები, მათ შორის - მარიამ უგრელიძეც. მსჯელობდნენ იმის შესახებ, როგორ დაეგდოთ მაღალი ტემპერატურა ბავშვისთვის, რისთვისაც შესაბამისი მედიკამენტის გამოყენება გადაწყვიტეს, თუმცა, ფიქრობდნენ, ხომ არ გამოიწვევდა იგი უკურეაქციას. ამ მსჯელობაში იყვნენ, რომ მათთან შემოვიდა და ექიმებთან ჩამოჯდა თვით ლავრენტი ბერია. მაშინვე ყველა გაჩუმებულა – საუბარს ვერავინ აგრძელებდა. ამ დროს მარიამს მისთვის უთქვამს - ბატონო ლავრენტი, თქვენ ჩატარებულ თათბირს ჩვენ ხომ არ ვესწრებით, ასევე, თქვენც არა გაქვთ უფლება, დაესწროთ ამ კონსილიუმსო. გაბრაზებულ ბერიას კარი გაუჯახუნებია და გარეთ გასულა. ყველა აკანკალებულა –

მარიამ უგრელიძე ოჯახის წევრებთან ერთად

დასასრული გვ 7-ზე

ძესაძირკვლენი

მარიამ უგრელიძე

დასაწყისი გვ 6-დან

მარი ხრისტეფოროვნა, ახლა ჩვენ რა გველის და რა გვეშველებაო, – უკითხავთ კოლეგებს, მარიმ კი გულდამშვიდებულმა უთხრა; - ნურაფერზე იღელვებთ, ჩვენ მათ სულ ვჭირდებითო.

მიუხედავად იმისა, რომ მარიამ უგრელიძე ყველგან მიღებული და აღიარებული ექიმი გახლდათ, ის უკიდურესი თავმდაბლობით გამოირჩეოდა, რითაც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა. ასევე, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ოჯახი სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარულით და პატრიოტული შემართებით გამოირჩეოდა. აქ ხშირად იყრიდნენ თავს ქვეყნის გამორჩეული პიროვნებები და ექიმები, მათ შორის – ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, დათიკო კვიტეიშვილი...

ერთხელაც, როდესაც ივანე ჯავახიშვილი – ჩვენი ოჯახისთვის ახლობელი ადამიანი – უნივერსიტეტიდან გაუშვეს, მარიამმა გადაწყვიტა, თავისთვის განკუთვნილი შაქრის ნორმიდან ნახევარი მისთვის გაეგზავნა – ის ტვინით მუშაობს და მეტი სჭირდებაო, – ამბობდა ხოლმე.

ჩვენი სახლი, რომელიც ვერაზე, ყოფილ ოლგას ქუჩაზე, იდგა და მარიამს ბიძამ უყიდა, მთელი სანათესავოს შესაკრებელი ადგილი იყო; იქ ყველა ერთ დიდ ოჯახად და მეგობრულად ცხოვრობდა. სწორედ ამ სახლში იღებდა იგი პაციენტებს სამსახურის შემდეგ და, მიუხედავად დიდი გადაღლისა, მომლოდინე მშობლებს უარს ვეღარ ეუბნებოდა. ერთხელაც, მახსოვს, თუ როგორი რუდუნებით ამშვიდებდა მის მიერ დასმული დიაგნოზის შემდეგ, პაციენტის თვალცრემლიან და ძალზედ აღელვებულ მამას და თან გულდასმით აძლევდა რჩევა-დარიგებებს თუ როგორ მოპყრობოდნენ და მოევლოთ თავიანთი ბავშვისთვის.

მახსოვს, ზოგადად, მარიამი ჩვილ ბავშვთა კვებას დიდ მნიშვნელობას აქცევდა და მშობლებს ურჩევდა, თავი შეეკავებინათ ღამის კვებისგან – ამ დროს ნაწლავებმა უნდა დაისვენოსო, – განუმარტავდა ხოლმე მათ.

1938 წელი, სამუშაო კაბინეტში

მას ყველა თქვენობით მიმართავდა და მეც მიჩვეული ვიყავი მასთან ამგვარ საუბარს. ის ძალიან საყვარელი ადამიანი იყო. ფრანგულს მასწავლიდა და ოჯახში ხშირად ფრანგულად ვსაუბრობდით. ძილის წინ კი სკოლის ამბებს მომაყოლებდა, თვითონ კი უამრავ საინტერესო ამბავს იხსენებდა; ჩემთვის სკოლის ასარჩევად, მთელი ვერას სკოლები შემოიარა, ყველაზე სუფთა და მისაღები სასწავლებელი რომ აერჩია...

ბოლოს კი ქალბატონმა მაიამ ის ეპიზოდი გაიხსენა, ქალბატონი მარიამის სახელს კიდევ მეტ სიდიადეს რომ მატებს და ღირსეულ ქართველ ექიმთა შორის რომ მიუჩენს თავის ადგილს:

ერთხელაც მარიამ უგრელიძეს აცნობეს, რომ თბილისის რკინიგზის სადგურში ვაგონი იდგა, რომელშიც ბავშვთა სახლებიდან შორეულ ციმბირში გადასაყვანად გამზადებული ბავშვები იმყოფებოდნენ – რეპრესირებული მშობლების შვილები...

ამ ამბის შეტყობინებისთანავე, მარიამმა და რკინიგზის სადგურის უფროსმა, ბავშვები ვაგონიდან გამოიყვანეს, მეორე დღეს კი მარიამმა, ექიმ **ბესარიონ ოქროპირიძესთან** ერთად, გაყალბებული დიაგნოზის მოშველიებით, ოფიციალურად განაცხადეს, რომ ამ ბავშვებისთვის, როგორც „დიზენტერიით დაავადებულთათვის“ და, ასევე, გარშემომყოფთათვის, დიდი საფრთხის შემცველი იქნებოდა ციმბირში გამგზავრება...

...ამ ხერხით „გაამართლეს“ მათ ბავშვების საქართველოში დატოვება, შედეგად კი გადარჩა ძალიან ბევრი პატარას სიცოცხლე, რომელიც მათ – ორმა ბრწყინვალე პიროვნებამ და ექიმმა, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად – გაყალბებული დიაგნოზით - იხსნა, თორემ, ალბათ ვერცერთი მათგანი ვერ შეძლებდა გაყინული ვაგონებით ციმბირამდე ჩაღწევას...

ეს ამბავი საინტერესო იმითაც არის, რომ იგი ყველასგან დაფარული იყო მანამ, სანამ მომხდარიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ, ქალბატონ მაიასა და დედამისს, ერთ-ერთმა იმ გადარჩენილთაგანმა, მუხლმოდრეკილმა არ გადაუხადა მადლობა მარიამ უგრელიძის ამგვარი შეუპოვარი საქციელის გამო...

...ყველას ძალიან გვიყვარდა და ვაფასებდით, თუმცა, ადრე დაგვტოვა, მისი ხსოვნა კი მუდამ იქნება ჩემს შთამომავლობაში, – ამ სიტყვებით დაასრულა ჩვენთან საუბარი ქალბატონმა მაიამ...

ჩვენი დღევანდელი მონათხრობიც ხომ სწორედ პროფესორი მარიამ უგრელიძის სახელის არდავინყებაა, სახელისა, უდიდესი წვლილი რომ შეიტანა ქართული პედიატრიის განვითარების ისტორიაში და ღირსეული კვალი დააჩნია დღევანდელ ქართულ მედიცინას...

დარეჯან კომლაძე

კოლეგებთან ერთად კლინიკაში

ხსოვნა

პროფესორი ალექსანდრე ციბაძე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, მკვლევრები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი ალექსანდრე ციბაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონი ალექსანდრე სამი ათეული წლის განმავლობაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც სამედიცინო უნივერსიტეტის პირველსემესტრელებს ეგებებოდა და მათ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის რთული, საინტერესო და ჰუმანური მისიის დაუფლებაში ეხმარებოდა. ეს კი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა, რადგან, ამ ეტაპზე გაგონილი თითოეული სიტყვა თუ დაჭერილი მზერა, შესაძლოა, ახალგაზრდისთვის პროფესიული კარიერის ლაბირინთებში ორიენტირების განმსაზღვრელი გახდეს. ბატონი ალექსანდრე გახლდათ კაცთმოყვარეობის და კომპეტენტურობის მაგალითი არა მარტო სტუდენტების, არამედ კოლეგებისთვისაც.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნივერსიტეტი) წარჩინებით დამთავრებისთანავე, 1961 წლიდან, ბატონმა ალექსანდრემ ცხოვრება და საქმიანობა ადამიანზე ზრუნვას მიუძღვნა. 1961 წელს იგი, სრულად ახალგაზრდა, ლიკანში, ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის ექიმად შეუდგა სისხლსავსე საექიმო და სამეცნიერო მოღვაწეობას; 1966-1989 წლებში კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ, მოგვიანებით კი – სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამასთან, ბატონი ალექსანდრე აკადემიურ საქმიანობაშიც ჩაერთო: 1985-1989 წლებში – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, 1986 წლიდან კი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული სამედიცინო აპარატურის კათედრაზე, სადაც მოღვაწეობდა სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის და ბიოფიზიკის სფეროებში.

1989 წლიდან ალექსანდრე ციბაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო კიბერნეტიკის და ინფორმატიკის კათედრის პროფესორი და კათედრის გამგეა. მოგვიანებით, ეტაპობრივი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების შემდგომ, აღნიშნული კათედრა ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტად ჩამოყალიბდა, რომელსაც 2017 წლამდე პროფესორი ალექსანდრე ციბაძე ხელმძღვანელობდა. 1996-2005 წლებში პროფესორი ა. ციბაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯს ხელმძღვანელობდა; განუზომელია მისი დამსახურება კოლეჯის და მისი ქუთაისის ფილიალის სასწავლო გეგმების და სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ბატონი ალექსანდრე, მისი Alma Mater-ის განვითარების ყველა, მათ შორის – რთულ, ეტაპზე, პროფესურის ავანგარდში იყო, აქტიურად მონაწილეობდა რა საორგანიზაციო, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, მეთოდურ და კვლევით აქტივობებში.

ალექსანდრე ციბაძის კვლევითი ინტერესები, ძირითადად, ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი პრობლემის გარშემო ტრიალებდა; მისი კვლევის შედეგები მოხსენებული და მოწონებული იყო არაერთ ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე, ასახულია 150-ზე მეტ სამეცნიერო პუბლიკაციაში, დარგის აღიარებულ სამეცნიერო პერიოდიკაში, რამდენიმე მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოში. მის მიერ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1980-იან წლებში დანერგილი კვლევის ავტომატიზებული სისტემები იმ პერიოდში ინოვაციური და პროგრესული იყო არა მარტო მედიცინაში, არამედ, საზოგადოდ, – საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში; ამავე პერიოდში ალექსანდრე ციბაძის აქტიური თანამშრომლობა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის კოლეგებთან არაერთი შედეგიანი სამეცნიერო პროექტის საწინდარი გახდა.

ჰუმანიზმი, კეთილმოსურნეობა, პროფესიონალიზმი, დელიკატურობა, მიმტევებლობა, ავკარგიანობა, თანადგომა, მეგობრობის გამორჩეული უნარი, მუდმივი მზაობა ახალგაზრდების მხარდაჭერისა და სწავლებისათვის – ეს ბატონი ალექსანდრე ციბაძის პიროვნულ ღირსებათა არასრული ჩამონათვალია. ამისთვის ყველა – დიდი თუ პატარა, სტუდენტი თუ კოლეგა, ახლობელი თუ მეგობარი – პატივს სცემდა და ენდობოდა მას.

ბატონ ალექსანდრეს დიდი და საამაყო ოჯახი ჰყავს; მან გულუხვად გაიღო ადამიანური და პროფესიული სიკეთე ოჯახის, მეგობრების, კოლეგებისა და მოსწავლეებისათვის.

გულისტკივილით გემშვიდობებით, ბატონო ალექსანდრე! თქვენ სამუდამო ადგილი ჰპოვეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და, საზოგადოდ, საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორიაში.

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი ალექსანდრე ციბაძე. ალექსანდრე ციბაძე გახლდათ გამოჩენილი ქართველი ექიმი, მკვლევარი და ღვაწლმოსილი პედაგოგი. მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ფუნქციური დიაგნოსტიკის, კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის სფეროში. იგი იყო ერთ-ერთი ქართველი მეცნიერი, რომელიც მუშაობდა სამედიცინო კიბერნეტიკის მიმართულებით.

პროფესორი ალექსანდრე ციბაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელიბდა თსსუ-ის ფიზიკის, ბიოფიზიკის და სამედიცინო კიბერნეტიკის კათედრას. იგი იყო შესანიშნავი პედაგოგი და უფროსი მეგობარი. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინაშე. ბატონი ალეკოს ხსოვნა ყოველთვის იქნება მისი კოლეგების და სტუდენტების გულებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ბატონი ალექსანდრე ციბაძის ოჯახს და მის ახლობლებს.

წიგნის თარო

მნიშვნელოვანი გამოცემა



საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით პირველად გამოიცა ქართულ-ინგლისური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგის ტერმინოლოგიას და განმარტებებს.

ლექსიკონის შექმნის იდეა და განხორციელება მედიცინის აკადემიურ დოქტორს, თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოს **დევი ტაბიძეს** ეკუთვნის.

– ბატონო დევი, უპირველესად, გილოცავთ თქვენც და მკითხველსაც ამ მართლაც საჭირო ლექსიკონის გამოცემას; ლექსიკონის შედგენა კოლოსალურ შრომას და დიდ დროს მოითხოვს. როდის დაიწყეთ მასზე მუშაობა და რამდენ ხანში მოხერხდა ლექსიკონის წიგნად გამოცემა?

– აღნიშნულ ლექსიკონზე მუშაობა, ჩემთვის უცხო არ იყო. როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, ოჯახურ ტრადიციასაც გავიხსენებ – მრავალი წლის წინ ბაბუაჩემმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგემ, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწემ, პროფესორმა **ზაქარია მაისურაძემ**, შეადგინა პირველი ქართულ-ლათინური ანატომიური ლექსიკონი, რაც იმ დროისთვის მართლაც საშური საქმე გახლდათ. ჩემი უშუალო ჩართულობა ლექსიკონზე მუშაობაში გამოიხატება უკვე სამი ლექსიკონის შედგენით. პირველი გახლდათ რეპროდუქტოლოგიაში – დიდი შრომა გავწიეთ უფროს კოლეგებთან და პედაგოგებთან: პროფესორ **არჩილ ხომასურიძესთან,** პროფესორ **ნინო (ნუნუ) მაისურაძესა** და დოცენტ **ნუნუ ტაბატაძესთან** ერთად. 2009 წელს გამოიცა რეპროდუქტოლოგიაში პირველი ქართულ-რუსულ-ინგლისური განმარტებითი ლექსიკონი; მეორე იყო პათოფიზიოლოგიის განმარტებით ლექსიკონი, პროფესორ **მარინე შაქარაშვილსა** და პროფესორ **თეიმურაზ პეტრიაშვილთან** ერთად, სადაც შეტანილია ძირითადი პათოფიზიოლოგიური ტერმინები და მათი განმარტებები. იგი განკუთვნილია პრაქტიკოსი ექიმებისთვისაც. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი უკვე მესამე ლექსიკონია. ორი წლის წინ დავიწყეთ ამაზე მსჯელობა თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე. ფაკულტეტის საბჭოზე საკითხის გატანის და ერთხმად მხარდაჭერის შემდეგ, უკვე დავიწყეთ აქტიური მუშაობა. უნდა ითქვას, რომ დღესაც, ინტერნეტის ეპოქაში, არასწორი ტერმინების გამოყენების არაერთი შემთხვევაა, განსაკუთრებით – ინგლისურ ენაზე და სწორედ გამართული ენით და სწორი ტერმინებით მეტყველების აუცილებლობაზე ფიქრმა განაპირობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქართულ-ინგლისურენოვან ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე მართლაც შრომატევადი საქმიანობის დაწყება, რაც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით და დარგის პროფესიონალების ჩართულობით, რეალობად ვაქციეთ. ამასთანავე, ეს არის სასწავლო ფორმატის გამოცემა, რადგან, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა სასწავლო პროცესში ახალი დამატებითი სასწავლო ლიტერატურის შექმნა. სწორედ ასეთია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში გამოყენებული ტერმინოლოგია და შესაბამისი განმარტებითი ლექსიკონი. იმედი მაქვს, ახალგამოცემული ლექსიკონი დაეხმარება როგორც სტუდენტებს, რეზიდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, ისე – ექიმებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებს.

– ლექსიკონის შედგენის შრომატევად საქმიანობაში უმეტესად ჩართულია პროფესიონალთა ჯგუფიც. რა დაედო საფუძვლად ლექსიკონზე მუშაობას და როგორი იყო სპეციალისტთა წვლილი ამ მნიშვნელოვან საქმეში...

– ლექსიკონს საფუძვლად დაედო თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, დარგის პროფესიონალების, სახელმძღვანელოები, სალექციო მასალები და პუბლიკაციები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. სულ გამოყენებულია 15 სახელმძღვანელო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანები, გამოყენებული ლიტერატურის ავტორები, არიან ლექსიკონის თანაავტორებიც, რადგან ეს თითოეული მათგანის ინტელექტუალური შრომის შედეგია. მახარებს, რომ საქმის დაწყებიდან უკვე ორი წლის შემდეგ შევძელით ლექსიკონის გამოცემა. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვისი წვლილიცაა ლექსიკონზე მუშაობაში.

– ლექსიკონში შესული მთლიანი მასალა რამდენ ერთეულს მოიცავს?

– ლექსიკონში შეტანილია 800-მდე ტერმინი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, დამუშავებულია 200-მდე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში გამოყენებული აბრევიატურა და ტერმინთა გლოსარიუმები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკულ პერიოდიკაში.

აქვე აღვნიშნავ, რომ წიგნზე იმუშავა სარედაქციო კოლეგიამ: რედაქტორი – თსსუ-ის კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოს და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ლალი ბაქრაძე;** წიგნის რეცენზენტი გახლავთ თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ირინა ზარნაძე**; კორექტორები – თსსუ-ის კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოს და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნინო ხაჭაპურიძე** და თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი **მარინა ყაჯრიშვილი.**

– როგორც ვიცით, სტუდენტებიც ჩართულები იყვნენ ლექსიკონზე მუშაობის პროცესში...

– დიახ, ეს პირველი შემთხვევაა და ძალიან სასიხარულო, რომ ლექსიკონზე მუშაობაში ჩართული იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი, სულ 10 სტუდენტი, რომლებსაც დაურიგდათ თემატიკა, იმუშავეს წიგნებზე სხვადასხვა მიმართულებით და ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს.

– აღნიშნული გამოცემა ლექსიკონის პირველი ნაწილია. სავარაუდოდ, იგეგმება მისი გაგრძელება...

– დიახ, ეს არის პირველი გამოცემა, რომელიც გაგრძელდება. მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი ჯანდაცვა ფართო და მრავლისმომცველი სფეროა, იგი 95 წლის ისტორიას მოიცავს და სწორედ წელს აღინიშნება საიუბილეო თარიღიც. მახარებს, რომ ლექსიკონის პირველ ნაწილი მოვასწარით და გავაგრძელებთ მუშაობას შემდეგი გამოცემისთვის, რომელიც უკვე დარგობრივ დეტალებსა თუ ნიუანსებზე იქნება ორიენტირებული. ლექსიკონი მოიცავს, ასევე, ახალ, სრულიად თანამედროვე ტერმინოლოგიას. წიგნის წინასიტყვაობაში აღვნიშნე და თქვენთანაც გავიმეორებ: როგორც ლექსიკონის შექმნის იდეის ავტორი და რედაქტორი, ვიმედოვნებ, რომ პირველი ნაწილის გამოცემის მიმართ გამოიხატება როგორც მადლიერება, ისე საგნობრივად კრიტიკული შენიშვნები – ლექსიკონის ბოლოს, საგანგებოდ, ცარიელი გვერდი ჩავდეთ, რომლითაც მივანიშნეთ შენიშვნების და რჩევებისთვის მზაობის შესახებ. ეს, ვფიქრობ, თანამშრომლობის მისაღები ფორმაა და საწინდარია ლექსიკონის მეორე ნაწილის სრულყოფისთვის.

– ნებისმიერი იდეა, თუ ის კეთილ და სასარგებლო საქმეს ემსახურება, მოსაწონი და მისაღებია, თუმცა მისი ხორცშესხმისთვის აუცილებელია ფინანსური მხარდაჭერა – რა სახსრებით მოხერხდა წიგნის გამოცემა?

– წიგნის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა – თსსუ-ის რექტორმა, ბატონმა **ირაკლი ნატროშვილმა** და კანცლერმა, ბატონმა **ალექსანდრე ბუაჩიძემ**, იდეის გაჟღერებისთანავე გამოხატეს მზაობა ლექსიკონის გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით და სწორედ მათი დახმარებით შევძელით წიგნის გამოცემა, რისთვისაც, თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდ მადლობას ვუხდი უნივერსიტეტის რექტორს და კანცლერს. ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროფესორ **ხათუნა თოდაძეს,** რომელთანაც უშუალო კოორდინაციით და მისი აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი. მადლობას ვუხდი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს და დეკანს პროფესორ **შალვა (დავით) ზარნაძეს** თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

– გარდა სამედიცინო საზოგადოებისა, ლექსიკონით დაინტერესებული მკითხველი, დარწმუნებული ვარ, ბევრია. რას ეტყოდით მათ?

– გარდა იმისა, რომ, მრავალი თვალსაზრისით, რთულ ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, ძნელია იმის გაცნობიერება, რომ წიგნიერება სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დადგა, წიგნი ელექტრონულმა ვერსიებმა ჩაანაცვლა, რომელსაც თავისი დადებითი მხარეები აქვს, მაგრამ ერთი მეორეს ვერ შეცვლის და წიგნთან მუშაობა ახალი თაობისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ვიფიქრეთ ლექსიკონის ციფრულ გამოცემაზეც, რაც შეიძლება მომავალში განვახორციელოთ კიდეც, თუმცა, ვფიქრობ, ციფრულ სამყაროშიც ბეჭდურ გამოცემებს თავისი უპირატესობა აქვს.

ლექსიკონის შესახებ სიამოვნებით გაგვიზიარა მოსაზრება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ***შალვა (დავით) ზარნაძემ:***

„ამ ორიოდე წლის წინ, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, დაისვა საკითხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ტერმინების განმარტებით ლექსიკონზე მუშაობის და მისი გამოცემის შესახებ. იდეის ავტორი გახლდათ **დევი ტაბიძე** – თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი. საკითხის აქტუალობა განაპირობა დარგში არსებული ტერმინოლოგიის დახვეწის აუცილებლობამ, რადგან ტერმინთა დამახინჯების ფაქტები, სამწუხაროდ, პროფესიულ წრეებშიც კი, არცთუ იშვიათია. მოგეხსენებათ, რომ ლათინური ტერმინოლოგია თანდათან ინგლისურმა ჩაანაცვლა, გახშირდა ბარბარიზმები, ერთი ტერმინის სხვადასხვაგვარი განმარტების შემთხვევები; ტერმინოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია დიაგნოზის დასმის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებითაც. თავის დროზე, ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ლექსიკონის შედგენაზე მუშაობდა სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი **თამაზ კერესელიძე**, თუმცა დიდი რუდუნებით დაწყებული საქმე მაშინ ბოლომდე ვერ მივიდა. დღეს აუცილებელი გახდა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისად შედგენილი ლექსიკონის გამოცემა, რაც ბატონმა დევიმ ითავა. შეიძლება ითქვას, რომ იგი, პროფესიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მართლაც რთულ საქმეს შეეჭიდა და წარმატებითაც დაასრულა, თუმცა ეს წიგნის მხოლოდ პირველი ნაწილია, ე. წ. სასიგნალო ეგზემპლარი და, ცხადია, ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა მიმართულების ტერმინოლოგიას ამ ეტაპზე ვერ მოიცავდა.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნზე მუშაობაში ჩართულები იყვნენ დარგის პროფესიონალებიც, სტუდენტებიც, განსაკუთრებული შრომა თავად იდეის ავტორმა, პროფესორმა დევი ტაბიძემ გასწია და, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ფინანსური მხარდაჭერის შედეგად, წიგნი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახდა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ.

ბატონ დევის ვუსურვებ წარმატებით დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას და ჩვეულ აქტიურ საქმიანობას ფაკულტეტის და უნივერსიტეტის სასიკეთოდ“.

ნატო გოლქვაძე

სტუდენტური ეკონომი

გამახარებელი ყაჯიყოვნენ

სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების ორგანიზებით, ქალაქ თბილისის მერიის დაფინანსებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 24 იანვარსა და 1 თებერვალს გამართულ პროექტებში – **„ინტელექტუალურ თამაშებსა“** და **დებატების ტურნირში** – გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები 12 თებერვალს საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვდნენ.

აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით სასიხარულოა ჩვენთვის და სამომავლო გამარჯვებების ერთგვარი სტიმულიც.

კიდევ ერთი წარმატება

საგრანტო პროექტი – „გარემო ჩვენს ირგვლივ“ – ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია!

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, ტრადიციულად, აგრძელებს საზოგადოებისთვის აქტუალური სამედიცინო საკითხების ირგვლივ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებას, რაც განსაკუთრებით საამაყოა ჩვენთვის. აღნიშნული პროექტის მიზნები მიმართულია მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ.

ნინო ჭიღლაძე
„სამედიცინო გაზეთის“ სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი,
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, დიპლომირებული მედიკოსის
ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
კოჰესპონდენტები ლაჰეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu